# თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

## ოქმი №9

ქ. თბილისი — 2018 წელი, 9 თებერვალი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით ჟომელიძე, თეოდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ვახტანგ წაქარიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ჯაბა ჯიშკარიანი, გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

ილია ელოშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ბექა მიქაუტაძე -თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი
სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი
გვანცა ხიკოლაიშვილი  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი
თამარ კაციტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

### დღის წესრიგი:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03180313-03);

2. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031802581-03);

3. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი #106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.19.16.002.137; 01.19.16.002.142) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031802680-03);

4. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა #27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე". ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031802677-03);

5. „ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12 0318032149 03).

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით **(12-03180313-03)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბატონმა ილია ელოშვილმა. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის პროცედურებს. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია

ისეთი სიახლეები, როგორიცაა: ამხანაგობების ასოციაციაციის შექმნა, რაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნილი ამხანაგობების გაერთიანებას. აღნიშნული წესით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების მიღებისათვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ შენატანის განხორციელება, პროექტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კერძოდ, ამხანაგობა ვალდებულია: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საერთო კრების ოქმით განსაზღვროს საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანების ოდენობა უნდა შეადგენდეს გამგეობის მიერ ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10% ს.

ასევე პროექტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ძონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ამხანაგობის წევრები გამგეობაში სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, თავისუფლდებიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებისგან. ხოლო, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ნაცვლად, ამხანაგობას შესაძლოა წარადგინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება, იმ ამხანაგობის საბანკო ანგარიშზე სადანახარჯო შენატანების განთავსების თაობაზე, რომლის წევრებიც არიან დევნილები და რომელთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროექტის თანახმად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი), ბ) ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები); გ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; დ) 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; ე) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები და თაღები); ვ) სართულშუა ნაპრალების სამუშაოები;

ზ) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის და დეფექტური აქტების მოსამზადებელი მომსახურება).

ზ/აღნიშნულ მიმართულებასთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნა, კერძოდ:

განხორციელდეს მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტის, „ე" და „ვ" ქვეპუნქტების გაერთიანება და საცვლად პროექტში არსებული ჩანაწერისა იყოს,

*„ე) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები)"*

ასევე ამავე მუხლის, მე 2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით,

*„ვ) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება).*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ზ/აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

2. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **(12-031802581-03);**

კომისიამ ასევე განიხილა საკრებულოს განკარგულების პროექტი ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე *www.tas.ge* რეგისტრირებული №AR1533308 განაცხადი). პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.14.17.001.201, 01.14.17.001.197). ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 188 040 მ$^2$. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ივნისის №179 განკარგულებით დამტკიცებულია გრგ-ს დავალება, ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლების კომპლექსის განსათავსებლად. ტერიტორია იმიჯნება 40 სექტორად, საიდანაც 36 ნაკვეთზე გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების განთავსება, 3 ნაკვეთი გამოყენებული იქნება სარეკრეაციო ფუნქციით, ხოლო 1 ნაკვეთი არის შიდა საუბნო გზისთვის გამოყოფილი. საპროექტო არეალის სიდიდიდან გამომდინარე ტერიტორია იყოფა დამოუკიდებელ გრგ–ს არეალებად, ისე რომ გრგ–ს შეთანხმება განხორციელდეს ეტაპობრივად. ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს 220 კვ. ეგხ „დიდუბე-3,4"-ის დაცვის ზოლში, პროექტის შეთანხმების სტადიაზე შენობათა განთავსების არეალები უნდა შეთანხმდეს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილი გრგ-ს პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1533308 განაცხადი), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

3. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი **#106** -ში არსებული მიწის ნაკვეთებზე (ს/კ **01.19.16.002.137; 01.19.16.002.142)** განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **(12-031802680-03);**

კომისიამ ასევე განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ (წერილი №12-031802680-03. 26.01.2018წ AR1544009) წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №106-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№01.19.16.002.137;01.19.16.002.142) განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით.

გრგ-ს საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №106-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.16.002.137, 01.19.16.002.142),

ფართობი 20989 კვ.მ. ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5, პროექტი ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას სამრეწველო ზონა 2-ით, ჩიფსების საწარმოს, საწყობების, ფარმაცევტული საწარმოს, ოფისებისა და შესაბამისი დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობას. ტერიტორიაზე ვრცელდება აეროპორტის შეზღუდვა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილი გრგ-ს პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა.

აღსიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №106-ში, (საკადასტრო კოდი: №01.19.16.002.137;01.19.16.002.142) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1544009 განაცხადი), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. **„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა #27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031802677-03);**

კომისიამ ასევე განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-031802677-03. 26.01.2018წ. AR1544088) საკრებულოს განკარგულების პროექტი ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით.

გრგ-ს საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში, (საკადასტრო კოდი:№01.19.24.007.030), 19442 კვ.მ. ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა და სპეციალური ზონა 1-თი. იგეგმება სპეციალური ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება. ტერიტორია სრულყოფილადაა უზრუნველყოფილი სატრანსპორტო კავშირებით, გააჩნია საკუთარი სარკინიგზო

განშტოება და კავშირი ორ საუბნო სამანქანო გზასთან, ასევე ახლოსაა კახეთის გზატკეცილთან. დაგეგმვის მიზანია ტერიტორიის კეთილმოწყობა და მასზე სასაწყობე კომპლექსის მოწყობა. ტერიტორიაზე ვრცელდება აეროპორტის შეზღუდვა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე ვლანდა ნიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილ გრგ-ს პროექტზე გამოთქმული იქნა შენიშვნა (რ. სოხაძე, გ. ტყემალაძე) მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ერთიან ხედვასთან დაკავშირებით და მოთხოვნილ იქნა საკითხის განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1544088 განაცხადი), გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. „ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **№72.16.17.427)** საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით **(12-0318032149-03).**

კომისიამ ასევე განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (წერილი №12-0318032149-03. 01.02.2018წ. AR1559452) საკრებულოს განკარგულების პროექტი, ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული 2017 წლის 21 ნოემბრის №AR1559452 განცხადებით, შპს „პეანის" დირექტორმა ალექსანდრე ბერძენიშვილმა მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №02.40.69 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილიში, სოფელ ზემო ლისში. საპროექტო ტერიტორიის ფართობი წარმოადგენს 10000 $მ^2$-ს. ტერიტორია ძირითადად არ არის განაშენიანებული, ასევე არ არის გამწვანებული. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) წარმოადგენს შპს „პეანის" საკუთრებას.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №438 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება სასაწყობე მეურნეობისთვის. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო სამეურნეო ზონა (სოფზ), აგრეთვე, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. ტერიტორიის განვითარება იგეგმება დადგენილი ფუნქციური ზონის შესაბამისად, მასში დასაშვები სახეობების მიხედვით- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი საწყობი. გრგ-ს პროექტით მიწის ნაკვეთის გამიჯვნა არ ხდება. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის განვითარება იგეგმება მოქმედი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად. ასევე, მიწის ნაკვეთი მდებარეობს უშუალოდ გზის მიჯნაზე და სამომავლოდ მიმდებარე ტერიტორიის განვითარების კონცეფციის შემუშავების შემთხვევაში არ შეუქმნის პრობლემას.

გრგ-ს საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ხიკოლეიშვილი და სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

წარმოდგენილი გრგ-ს პროექტზე გამოთქმული იქნა შენიშვნები (რ. სოხაძე, გ. ტყემალაძე) სატრანსპორტო სქემებსთან და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ერთიან ხედვებთან დაკავშირებით და მოთხოვნილ იქნა საკითხის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სხდომაზე არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ერთიან ხედვებთან დაკავშირებით და ქალაქიდან მისასვლელი გზების გამტარუნარიანობის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, სოფელ ზემო ლისში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1559452 განაცხადი), გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე — რევაზ სოხაძე